

ქ.თბილისი

2020 წლის 26 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 26 ოქტომბერს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 8 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნიანად, ამის გამო არცერთ მონაწილე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ლაშა თავართქილაძე, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის მ. გოგუაძის ოქმი და საითინგი, მთავარი მსაჯის ი. ჯაფარიძის წითელი ბარათის ოქმები, ამა წლის 20 ოქტომბერს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, თბ „არმია“-სა და თბ „წიქარა“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

#### **გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

1. თბ „წიქარა“-ს მორაგბე ლუკა ბურდული - კონფლიქტის პროვოცირება.
2. თბ „არმია“-ს მორაგბე ლევან გუგუშაშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.
3. თბ „არმია“-ს მწვრთნელი ირაკლი ჩალაძე - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.
4. თბ „არმია“-ს მწვრთნელი დავით ღუდუშაური - არალიცენზირებული მოთამაშის სხვისი გვარით თამაშში მონაწილეობა.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2, 2.1.8, 2.2.7 სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართ # 1-ის 1.2, 1.8, 2.7 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. თბ „წიქარა“-ს მორაგბე ლუკა ბურდული დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
2. თბ „არმია“-ს მორაგბე ლევან გუგუშაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
3. თბ „არმია“-ს მწვრთნელი ირაკლი ჩალაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო გუნდი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
4. თბ „არმია“-ს მწვრთნელი დავით ღუდუშაური დისკვალიფიცირებული იქნას 5(ხუთი) სათამაშო კვირით, ხოლო გუნდი დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით.
5. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, კლუბის მიმართ ამოქმედება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
6. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.8 პუნქტი და კლუბ თბ „არმია“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 5 (ხუთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/